საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
GEORGIAN NATIONAL UNIVERSITY SEU

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ატესტაციის წესი

დამტკიცებულია
რექტორის 2022 წლის 27 ივნისის №528 ბრძანებით

2022
თბილისი

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს
ატესტაციის წესი

მუხლი 1. წესის რეგულირების სფერო

ამ წესით რეგულირდება შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს (შემდგომში, ტექსტის მიხედვით - სეუ) აკადემიური პერსონალის დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან მათი მიღწევების, კვალიფიკაციის და/ან პროფესიული უნარ-ჩვევების შესაბამობის დადგენის მოთხოვნები და პროცედურები.

მუხლი 2. ძირითადი ტერმინები და განმარტებები

1. **ატესტაცია** - საქართველოს კანონმდებლობითა და სეუ-ს მართვის ორგანოების აქტებით დადგენილი წესით, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორის) პროფესიული უნარების, აკადემიური საქმიანობისა და სამეცნიერო საქმიანობის დაკავებული თანამდებობისათვის წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;
2. **ატესტაციას დაქვემდებარებული პირი** - სეუ-ს პროფესორი, რომელიც შესაბამის თანამდებობაზე არჩეულია უვადოდ ან 5 წელზე მეტი ვადით;
3. **საატესტაციო პერიოდი** - ვადა, რომლის განმავლობაში, შესაბამისი აკადემიური პერსონალი ექვემდებარება ატესტაციას;
4. **საატესტაციო კომისია** - ატესტაციის ჩატარების მიზნით შექმნილი ორგანო, რომლის ფუნქციონირების ვადა განისაზღვრება ატესტაციის ჩატარების ვადით.

მუხლი 3. ზოგადი დებულებანი

1. პროფესორი, რომელიც არჩეულია უვადოდ, ატესტაციას ექვემდებარება 5 წელიწადში ერთხელ მაინც (საატესტაციო პერიოდი);
2. პირი, რომელსაც კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლებით შეჩერებული აქვს შრომითი ურთიერთობა, ატესტაციას ექვემდებარება მომდევნო წელს.

მუხლი 4. ატესტაციის მიზნები

1. ატესტაციას დაქვემდებარებული პირის პროფესიული უნარების, მიღწევების, ჩვევების, კვალიფიკაციის და შესაძლებლობების შესაბამისობის განსაზღვრა დაკავებული ან დასაკავებელი თანამდებობის მოთხოვნებთან;
2. პროფესორის მიერ საატესტაციო პერიოდში შესრულებული პროფესიული სამსახურებრივი საქმიანობის შეფასება;
3. პერსონალის პროფესიული დონის გამოყენების პერსპექტივების განსაზღვრა;
4. პერსონალის კვლევითი საქმიანობის საერთაშორისო ცნობადობის შეფასება;
5. პერსონალის პროფესიული ზრდის სტიმულირება.

მუხლი 5. ატესტაციის პრინციპები

ატესტაცია ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- სამართლიანობა;
- საჯაროობა;
- გამჭვირვალობა;
- არადისკრიმინაციულობა;
- ობიექტურობა;
- მიუკერძოებლობა;
- კოლეგიალურობა.

მუხლი 6. ატესტაციის ჩატარების დრო

1. ატესტაციის ჩატარების დრო და ვადები განსაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით;
2. ატესტაციას დაქვემდებარებულ პირთა სიას და ატესტაციის ჩატარების გრაფიკს ამზადებს სეუ-ს პერსონალის მართვის სამსახური და ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.
3. ატესტაციის გრაფიკი, ინფორმაცია ატესტაციის ჩატარების პროცედურების და პირობების შესახებ, ატესტაციას დაქვემდებარებულ პირს უნდა ეცნობოს საატესტაციო დოკუმენტაციის მიღების პროცესის დაწყებამდე არანაკლებ 14 კალენდარული დღით ადრე, ელექტრონულ ფოსტაზე ინფორმაციის მიწოდების გზით.
3. ამ მუხლით განსაზღვრული ინფორმაციის მიწოდებას ატესტაციას დაქვემდებარებულ პირისათვის უზრუნველყოფს სეუ-ს პერსონალის მართვის სამსახური.

მუხლი 7. საატესტაციო კომისია

1. ატესტაციას ატარებს უნივერსიტეტის საატესტაციო კომისიები (შემდგომში - კომისია), შესაბამისი პროფილის მიხედვით;
2. კომისიის შემადგენლობას, აკადემიურ საბჭოსთან შეთანხმებით, ამტკიცებს რექტორი. საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე და წევრი შეიძლება იყოს, როგორც უნივერსიტეტის თანამშრომელი, ასევე მოწვეული სპეციალისტი;
3. კომისიის თავმჯდომარე უფლებამოსილია საჭიროების არსებობის შემთხვევაში, იშუამდგომლოს უნივერსიტეტის რექტორის წინაშე კომისიაში დამატებით სპეციალისტების/ექსპერტების მოწვევის შესახებ.
4. პირი არ შეიძლება იყოს იმ კომისიის წევრი, რომელმაც უნდა მოახდინოს მისი შეფასება.
5. ატესტაციას დაქვემდებარებულ პირს უფლება აქვს მოითხოვოს კომისიის შემადგენლობის შესახებ ინფორმაცია, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. კომისიის წევრის აცილება

1. კომისიის წევრი ვალდებულია, ატესტაციის დაწყებამდე წინასწარ განაცხადოს ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომელმაც შეიძლება მას ხელი შეუშალოს ატესტაციას დაქვემდებარებული პირის ობიექტურად შეფასებასა და მის მიმართ გადაწყვეტილების მიუკერძოებლად გამოტანაში;
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობისას, კომისიის წევრი ვალდებულია, განაცხადოს თვითაცილება. ის, შესაბამისად, ვერ მიიღებს მონაწილეობას ატესტაციას დაქვემდებარებული პირების შეფასებასა და მათ მიმართ გადაწყვეტილების მიღებაში;

3. იმ შემთხვევაში, თუ კომისიის წევრი არ განაცხადებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობის შესახებ, ხოლო აღნიშნული, კომისიისათვის ცნობილი გახდება ატესტაციის მიმდინარეობისას, კომისიის შესაბამისი წევრის მიერ ატესტაციას დაქვემდებარებული პირის შეფასება არ იქნება გათვალისწინებული საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. აცილების საფუძველი შეიძლება იყოს პირთა ურთიერთდამოკიდებულება. ასეთ პირებად ითვლებიან ის პირები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მათი ან მათ მიერ წარმოდგენილი პირების საქმიანობის პირობებზე ან ეკონომიკურ შედეგებზე. ასევე, ისეთი გარემოება, რომ კომისიის წევრი პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით ან არსებობს გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში. ამ შემთხვევაში, პირის კომისიიდან გამოყვანის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს რექტორი.

მუხლი 9. ატესტაციის ჩატარების პროცედურა

1. საატესტაციო დოკუმენტაციის მიღების პროცესის დაწყებამდე არანაკლებ 14 კალენდარული დღით ადრე, ატესტაციას დაქვემდებარებული პირს პერსონალის მართვის სამსახური აცნობებს ატესტაციის ჩატარების შესახებ, ელექტრონულ ფოსტაზე ინფორმაციის გაგზავნის გზით. ატესტაცია ცხადდება რექტორის ბრძანებით. ბრძანებაში განისაზღვრება ატესტაციას დაქვემდებარებულ პირთა სია;
2. ატესტაციას დაქვემდებარებულ პირს უფლება აქვს ატესტაციის დაწყებამდე გაეცნოს ნებისმიერ ხასიათის დოკუმენტს, რაც დაკავშირებულია ატესტაციის ჩატარებასთან;
3. ატესტაციის ჩატარებისათვის შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის პერსონალის მართვის სამსახური და შესაბამისი საატესტაციო კომისია.
4. ატესტაცია შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი ფორმით: დოკუმენტაციის შესწავლა ან/და მონაცემების შემოწმება ან/და გასაუბრება;
5. გასაუბრების პროცესში, დაკავებულ თანამდებობასთან ატესტაციას დაქვემდებარებული პირის შესაბამისობის დადგენის მიზნით, კომისია ისმენს პირის ანგარიშს საატესტაციო პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ, ამოწმებს ატესტაციას დაქვემდებარებული პირის პროფესიულ დონესა და კვალიფიკაციას და სამსახურებრივ მოვალეობასთან დაკავშირებულ საკითხებში;
6. ატესტაციიის პროცედურებში მონაწილეობის არ მიღების ან/და გასაუბრებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, კომისია იღებს გადაწყვეტილებას ატესტაციას დაქვემდებარებული პირის დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობის თაობაზე.

მუხლი 10. საატესტაციო კომისიის მუშაობის ზოგადი წესი და შეფასების კრიტერიუმები

1. საატესტაციო კომისიის მუშაობის წესი განისაზღვრება ამ წესით;
2. კომისიის სხდომებს ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე. სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი;
3. გადაწყვეტილების მისაღებად კომისია სხდომაზე ატარებს ღია კენჭისყრას. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს კომისიის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია

კომისიის თავმჯდომარის ხმა. საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებები ფიქსირდება შესაბამის ოქმებში;

4. კომისიის წევრს უფლება აქვს, თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი;
5. ატესტაციას დაქვემდებარებულ პირს გასაუბრებაზე იწვევს საატესტაციო კომისია;
6. საატესტაციო კომისია ატესტაციას დაქვემდებარებულ პირს აფასებს ამ წესის N1 და N2 დანართებით განსაზღვრული კრიტერიუმებიის მიხედვით.

მუხლი 11. წარმოსადგენი საბუთები

1. ატესტაციას დაქვემდებარებულმა პირმა კომისიას უნდა წარმოუადგინოს ამ წესის N1 დანართში მითითებულ კრიტერიუმებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, შევსებულ ფორმასთან (დანართთან) ერთად;
2. შეფასებას ექვემდებარება მხოლოდ ბოლო 5 წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობები;
3. ატესტაციას დაქვემდებარებულ პირთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია წარედგინება პერსონალის მართვის სამსახურს.

მუხლი 12. ატესტაციას დაქვემდებარებული პირის შეფასების შედეგი და გადაწყვეტილების მიღება

1. კომისია აფასებს პირს, ამ წესის დანართებით გათვალისწინებული კრიტერიუმების მიხედვით. საჭიროების შემთხვევაში, ისმენს ატესტაცია დაქვემდებარებული პირის და მისი უშუალო ხელმძღვანელის განმარტებებს;
2. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და კომისიის დამსწრე წევრები;
3. ატესტაციის შედეგების მიხედვით, კომისიას გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი დასკვნა:

   ა) პირი შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

   ბ) ატესტაციას დაქვემდებარებული პირი არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში თუ ატესტაციას დაქვემდებარებული პირის შეფასება ამ წესის დანართი N1-ით გათვალისწინებული კრიტერიუმების მიხედვით შეადგენს არანაკლებ 190 ქულას და ამ წესის დანართ N2-ით გათვალისწინებულ ატესტაციისთვის წარსადგენი სამეცნიერო რეიტინგი/ციტირების ინდექსს (შესაბამისი მიმართულების მიხედვით);
5. კომისიის გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს.

მუხლი 13. ატესტაციის შედეგები

1. კომისია ვალდებულია, თითოეული ატესტაციას დაქვემდებარებული პირის ატესტაციის შედეგების შესახებ მოამზადოს დასკვნა. დასკვნა ფორმდება სხდომის ოქმით და მას ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და წევრები;
2. ატესტაციის შედეგები შეტანილ უნდა იქნეს საატესტაციო ფურცელში (ატესტაციის ჩატარების წესის დანართი), რომელიც ივსება ერთ ეგზემპლარად და ოქმთან ერთად ინახება ატესტაციას დაქვემდებარებული პირის პირად საქმეში. საატესტაციო ფურცელს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და წევრები;

3. კომისია უნივერისტეტის რექტორს მოახსენებს ატესტაციის შედეგებს, ატესტაციის საბოლოო შედეგების მიღებიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში (საპრეტენზიო განაცხადის წარდგენის ვადის ამოწურვის შემდგომ);
4. უნივერსიტეტის რექტორი, კომისიის დასკვნისა და რეკომენდაციის საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, იღებს გადაწყვეტილებას, პირის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების ან პირის მიმართ ატესტაციის შედეგის პირად საქმეში ასახვის შესახებ (იმ შემთხვევაში, თუ პირი შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას);
5. ატესტაციის შედეგები ძალაში შედის მიმდინარე სემესტრში შესაბამისი სასწავლო კურსის დასრულებისთანავე ან კომისიის მიერ დადგენილ გონივრულ ვადაში;
6. ატესტაციის უარყოფითი შედეგი არ გამორიცხავს აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში პირის მიერ მონაწილეობას/აკადემიური ხელშეკრულების გაფორმებას, ან მასთან მოწვეული სპეციალისტის პოზიციაზე შრომითი ხელშეკრულების გაფორმებას.

მუხლი 14. საპრეტენზიო კომისია

1. ატესტაციის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით, უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით იქმნება საპრეტენზიო კომისია;
4. საპრეტენზიო კომისიის წევრთა რაოდენობა და შემადგენლობა განისაზღვრება რექტორის ბრძანებით;
5. საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობაში შედიან საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარე და წევრები. კომისიის წევრი, რომელიც მონაწილეობდა ატესტაციის რომელიმე ეტაპის ჩატარებაში, არ შეიძლება იყოს საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობაში;
2. საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს კომისიის ერთ-ერთი წევრი;
3. საპრეტენზიო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი;
4. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტად ითვლება სხდომის თავმჯდომარის ხმა;
5. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ საპრეტენზიო კომისიის სხდომის თავმჯდომარე და კომისიის დამსწრე წევრები;
6. საპრეტენზიო კომისიის წევრს უფლება აქვს, თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი;
7. პირს საპრეტენზიო კომისიისადმი მიმართვის უფლება აქვს, მხოლოდ, წერილობითი ფორმით ატესტაციის შედეგების (მის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილება) გაცნობიდან (გადაწყვეტილება ეცნობება ელექტრონული ფოსტაზე გაგზავნის გზით) არა უგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში. საპრეტენზიო კომისიის სახელზე შეტანილი განცხადება განიხილება არა უგვიანეს 3 სამუშაო დღეში. მიღებული გადაწყვეტილებაზე შედგება ოქმი და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება კომისიას;
8. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კომისია, საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილების გათვალისწინებით. კომისიას უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში, მოიწვიოს გაფართოებული სხდომა საპრეტენზიო კომისიის წევრთა მონაწილეობით.

მუხლი 15. ატესტაციის შედეგების გასაჩივრება

ატესტაციას დაქვემდებარებულ პირს უფლება აქვს, ატესტაციის შედეგები გაასაჩივროს საპრეტენზიო კომისიაში, ხოლო შემდეგ - სასამართლოში, ან არ გამოიყენოს საპრეტენზიო კომისიისადმი მიმართვის უფლება და ატესტაციის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული საჩივარი წარადგინოს სასამართლოში, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

დოკუმენტის ტიპი: შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ატესტაციის ჩატარების წესი, დანართი N1

დოკუმენტის ტიპი: შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს აკადემიური პერსონალის ატესტაციის ჩატარების წესი, დანართი N1

ატესტაციას დაქვემდებარებული პირის მიერ წარმოსადგენი ფორმა

ატესტაციას დაქვემდებარებული პირის სახელი, გვარი:

ფაკულტეტი და მიმართულება:

სამეცნიერო ნაშრომის ტიპი			**ქულა**	**შეფასება**	**შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაციის მქონე, განხორციელებული აქტივობის აღწერა (მაგ. სტატიის სათაური)**	**გამომცემლობის დასახელება, ადგილი, გამოცემის თარიღი, გვერდები/ ელექტრონული გამოცემის შემთხვევაში ელექტრონული მისამართი**
პუბლიკაცია	1.1	უცხოეთში გამოცემული, (Peer-reviewed) სამეცნიერო მონოგრაფია, რომლებსაც აქვთ ISSN ან ISBN კოდი.	40			
	1.2	საქართველოში გამოცემული, (Peer-reviewed) სამეცნიერო მონოგრაფია, რომლებსაც აქვთ ISSN ან ISBN კოდი.	25			
	1.3	სტატია იმპაქტ-ფაქტორიან (Clarivate Analitics (ყოფილი Thomson Reuters Web of Science), ან ციტირების ქულის მქონე (Scopus) უცხოურ საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში /	40			
	1.4	სტატია საერთაშორისო ბაზებში შემავალ რეფერირებად ჟურნალში , რომლებიც აღიარებულ საერთაშორისო ნუსხებშია შესული Scopus, Ulrich's Index, ERIH PLUS, EBSCOHost, Latindex	25			
	1.5	საერთაშორისო საპატენტო ორგანიზაციებში რეგისტრირებული გამოგონება/პატენტი. /	40			
	1.6	სტატია საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ გამოცემულ სამეცნიერო ჟურნალში, და სხვა ადგილობრივ რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალში (სეუს მიერ დადგნილი, სამეცნიერო ჟურნალების ნუსხის მიხედვით).	10			
	1.7	სტატია საერთაშორისო(Peer-reviewed) სტატიათა კრებულში	15			
	1.8	სტატია საერთაშორისო კონფერენციის მოხსენებათა კრებულში	15			
	1.9	საერთაშორისო კონფერენციის მასალების სამეცნიერო რედაქტირება (ედიტორობა)	5			
	1.10	საერთაშორისო ჟურნალში რეფერირებადი სტატიისათვის რეცენზენტობა, peer-review გაკეთება	2			
გრანტი/შემოქმედებითი პროექტი	2.1.	კვლევითი გრანტის/შემოქმედებითი პროექტის ხელმძღვანელობა საერთაშორისო დონეზე /	10			
სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა	3.1.	საერთაშორისო სამეცნიერო სემინარზე/სიმპოზიუმზე/კონფერენციაზე/ კონგრესზე მოხსენების გაკეთება.	4			
სამეცნიერო ცოდნის	4.1.	საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალის რედ.კოლეგიის წევრობა	5			
საერთაშორისო რეიტინგი/ზეგავლენა	6.1.	ციტირების მაჩვენებელი (იმ შემთხვევაში თუ ფლობთ ინფორმაციას)				
	6.2.	H - ინდექსი (იმ შემთხვევაში თუ ფლობთ ინფორმაციას				
ჯამური ქულა			236			

ატესტაციას დაქვემდებარებულმა პირმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 190 ქულა

დანართი N2

ატესტაციისათვის წარსადგენი სამეცნიერო რეიტინგი/ციტირების ინდექსი

სოციალური მეცნიერებები:

Scopus-ციტირების ინდექსი-2, H-ინდექსი-2 ან

Web of science-ციტირების ინდექსი-2, H-ინდექსი-2 ან

Google scholar-ციტირების ინდექსი-2, H-ინდექსი-2.

ტექნიკური/საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:

Scopus-ციტირების ინდექსი-3, H-ინდექსი-3 ან

Web of science-ციტირების ინდექსი-3, H-ინდექსი-3 ან

Google scholar-ციტირების ინდექსი-3, H-ინდექსი-3.

მედიცინა:

Scopus-ციტირების ინდექსი-2, H-ინდექსი-2 ან

Web of science-ციტირების ინდექსი-2, H-ინდექსი-2 ან

Google scholar-ციტირების ინდექსი-2, H-ინდექსი-2.

ჰუმანიტარული მეცნიერებები:

Scopus-ციტირების ინდექსი-1, H-ინდექსი-1 ან

Web of science-ციტირების ინდექსი-1, H-ინდექსი-1 ან

Google scholar-ციტირების ინდექსი-1, H-ინდექსი-1.

სამართალი:

Scopus-ციტირების ინდექსი-1, H-ინდექსი-1 ან

Web of science-ციტირების ინდექსი-1, H-ინდექსი-1 ან

Google scholar-ციტირების ინდექსი-1, H-ინდექსი-1.